რეაგირება

ქ. ლაგოდეხის აღმოსავლეთით, მდ. ლაგოდეხისხევზე წყალდიდობის საწინააღმდეგო, ასევე ნაპირსამაგრი (ნაპირდაცვითი) სამუშაოების პროექტთან დაკავშირებით საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს 2021 წლის 23 აგვისტოს N8896/01 წერილში მოყვანილ შენიშვნებზე

№	შენიშნვა (დასაზუსტებელი საკითხი)	პასუხი
1.	როგორც სკრინინგის განცხადებაში მოცემული განმარტებითი ბარათიდან ირკვევა, საკვლევი უბნის საინჟინრო ჰიდროლოგიური გაანგარიშება განხორციელებულია ორი მეთოდით: საქართველოში მოქმედი წყლის ხარჯის განმსაზღვრელი რეგიონალური ფორმულის გამოყენებით და უცხოელი სპეციალისტების მიერ შემოთავაზებული ჰიდროლოგური მოდელირების მეთოდით (რომელიც მიჩნეულ იქნა საანგარიშოდ). რეგიონალური ფორმულით მიღებული წყლის ხარჯის სიდიდე ნაკლები გამოვიდა ვიდრე ჰიდროლოგიური მოდელირებით მიღებული ხარჯი, თუმცა საპროექტო დატბორვისა და კალაპოტის წარეცხვის დონეები გამოთვლილია საანგარიშოზე უფრო ნაკლებ წყლის ხარჯზე, რაც საჭიროებს დაზუსტებას.	<u>შენიშვნა გათვალისწინებულია.</u> საკვლევი უბნის ჰიდროლოგიური გაანგარიშება მოხდა ორი მეთოდით: რეგიონული ფორმულის გამოყენებით და პროექტის უცხოელი სპეციალისტის მიერ შემოთავაზებული ჰიდროლოგიური მოდელირებით (HEC-HMS მოდელის გამოყენებით). რეგიონული ფორმულით და HEC-HMS მოდელით მიღებული მაქსიმალური ხარჯების (P-1%) სიდიდეები საკმაოდ ახლოს იყო ერთმანეთთან (195 $მ^3$/წმ და 226 $მ^3$/წმ), თუმცა ვინაიდან UNDP-ს მიერ დაგეგმილი პროექტი ითვალისწინებს კლიმატის ცვლილებით გამოწვეული კატასტროფების რისკის შემცირებას, აღნიშნული მონაცემის (რიცხვის) გადაანგარიშება მოხდა 4°C-ით ტემპერატურის მომატების სცენარის გათვალისწინებით, შესაბამისად, 1%-იანი საანგარიშო ხარჯი მიღებულ იქნა **328 $მ^3$/წმ.** საპროექტო ნახაზებზე წარმოდგენილი ყველა დატბორვის და წარეცხვის დონეები მითითებულია აღნიშნული ხარჯის მიხედვით. შენიშვნის პასუხად, განახლებული სკრინინგის განაცხადის პარაგრაფში 4.6.5, ცხრილი 4.6.5.1.-ის სახით წარმოგიდგენთ მდ. ლაგოდეხისხევის საპროექტო მონაკვეთის ჰიდრავიკურ ელემენტებს, რომელიც შედგენილია HEC-HMS მოდელირების საფუძველზე. ნაპირდამცავი ნაგებობების ყველა საპროექტო პარამეტრი შესაბამისობაში იქნება აღნიშნულ მონაცემებთან და თავისთავად დააკმაყოფილებს რეგიონალური ფორმულით გაანგარიშების საფუძველზე მიღებულ მნიშვნელობებს.
2.	საპროექტო განივ კვეთებზე წარმოდგენილი უნდა იყოს საანგარიშო ხარჯის შესაბამისი, ჰიდრავლიკური ელემენტები.	<u>შენიშვნა გათვალისწინებულია.</u> განახლებული სკრინინგის განაცხადის პარაგრაფში 4.6.5, ცხრილი 4.6.5.1.-ის სახით წარმოდგენილია HEC-HMS მოდელირების საფუძველზე მიღებული საანგარიშო ხარჯის შესაბამისი, ჰიდრავლიკური ელემენტები, მდინარის კალაპოტის პიკეტაჟის მიხედვით. საპროექტო ნაპირდამცავი ნაგებობების პარამეტრები გათვლილია აღნიშნული მონაცემების საფუძველზე.
3.	გრაფიკულ ნაწილში დამცავი ნაგებობის განივ კვეთებზე დასატანია საანგარიშო დატბორვისა და წარეცხვის დონეების რიცხვითი	<u>შენიშვნა გათვალისწინებულია.</u> შესაბამისი წლის და წარეცხვის დონეების რიცხვითი მნიშვნელობები

	მნიშვნელობები, ხოლო გრძივ პროფილზე დასატანია საანგარიშო დატბორვისა და კალაპოტის წარეცხვის დონეები;	მოცემულია როგორც განახლებულ განივ კვეთებზე, ასევე გრძივ პროფილზე (ის. სკრინინგის განაცხადის დანართი 2 და დანართი 3.). მასალის დიდი მოცულობის გამო სკრინინგის განაცხადში განივი კვეთების სრულად და ხარისხიანად წარმოდგენა შეუძლებელია. აღნიშნულიდან გამომდინარე განივი კვეთების სრულყოფილ ვერსიას წარმოგიდგენთ ელექტრონული სახით.
4.	ნაპირდამცავი ნაგებობის ძირის ნიშნული უნდა იყოს მოცემული წარეცხვაზე შესაბამისი მარაგის გათვალისწინებით.	<u>შენიშვნა გათვალისწინებულია.</u>